№ 21 (45) 1930 წ. | წელიწადი მეორე | ფასი 15 კაპ.

# დროშა



ბათუმი. ნავთის რეზერვუარები.

# ლადო მესხიშვილის ხსოვნას



**დრამატიული მსახიობი ლადო მესხიშვილი**

(გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო)

როცა ვლაპარაკობთ შემოქმედ სუბიექტზე, ის ნიშნავს, რომ ის გამოხატავს თავის კლასს, სოციალურ წრეს, საერთო ეკონომიურ პირობებს, რომელშიაც უხდება მას ცხოვრება, მაგრამ ნამდვილი შემოქმედება მხოლოდ მაშინ ხდება სრულქმნილი და ფასი ეძლევა მას, თუ ის მატარებელია გარკვეული საზოგადოებრივი აზრის და აქვს მას შეგნებულად დასახული მიზანი, თუ შემოქმედი სუბიექტი მიმართავს თავის სტიქიას და სასარგებლოდ ხდის მას. ამ გაგებით **ლადო მესხიშვილის** მოღვაწეობა ნათლად და მკაფიოდ —ლაპარაკობს თავის თავზე. არა არსებული გემოვნებისა და პირობების წინაშე ქედის მოხრა, არამედ ბრძოლა თეატრის ცხოვრებაში აუცილებელია კულტურული გარდატეხის მოსახდენად, ბრძოლა მისი რეპერტუარისათვის, მისი საზოგადოებრივი სახისათვის,—აი, რა შეადგენდა მესხიშვილის ამოცანას. ეს იყო გზა **უმეტესი წინააღმდეგობის გაწევის.**

სწრაფად პირის ბრუნება რომანტიულ—ნაციონალისტურ რეპერტუარიდან კლასიკურისაკენ... თეატრში პირველად გაისმა სოციალური პრობლემები ლ. მესხიშვილის პირით, რომელმაც ძირითადათ შეცვალა რეპერტუარის თემები და ამოცანები. ქართული სცენა შეტორტმანდა და იწყო ცხოვრება ჰამლეტის საკითხებით, აკოსტას, რასპლიუევისა და სხვათა სახეებით. ეს ნებისყოფიანი შეგნებული ამოცანა იყო, ეს იყო გზა, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება ღრმად შეერყია და გადაელახა მაყურებლის ცუდი ჩამოყალიბებული გემოვნება, რომელიც შექმნილი იყო ურა-პატრიოტულ პიესებს. მათი ნაციონალური გამოთქმის დომინანტს. ის იყო გზა უმეტესი წინააღმდეგობის გაწევისა და მესხიშვილმა სძლია ის.

---

სად მიიყვანა ინსტინქტმა იგი, ადამიანი და მხატვარი? ამის შესახებ ლაპარაკობს ლადო მესხიშვილის და მისი თეატრის მოღვაწეობა ქუთაისში 1905-6 წლების განმავლობაში, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მესხიშვილი იყო არა მარტო მხატვარი და ხელოვნების ადამიანი, არამედ თავისი დროის ადამიანიც, რომელიც მწვავედ განიცდიდა და რომელსაც ესმოდა თეატრის მიზანი და ამოცანები რომელიც ახორციელებდა ამ ამოცანებს, თუმცა შექმნილი პირობები მის წინააღმდეგ იყო მიმართული. თეატრი საშინელი ზედამხედველობის ქვეშაა გამოცხადებული. პიესები იკრძალება. შენობის ახლოს სდგას ყაზახთა ასეულები, კულისებში ატუზულია პოლიცია. ლექსის **„8 საათი შრომისათვის“** წაკითხვის შემდეგ ლადოს აპატიმრებენ. **აქტიორები** აედევნებიან მასწავლებელს და კლასიკური ნიღაბების ადგილს უცებად იჭერს სოციალური სახეები. მესხიშვილი ეთხოვება საყვარელ კლასიკას და „ჯან და მადლენა“-ს, „რუი ბლაზ“-ისა და „ყაჩაღები“-ს საშუალებით ის მივა „კაიუს გრაკხამდე“. 1905 წლის თეატრი მთავრობის ხელში შეიძლებოდა გამხდარიყო უძლიერეს იარაღად და ეთამაშა მას მასიური რევოლუციური სტიქიის დამცხრობის, მისი ჩამხშობის როლი, მაგრამ მესხიშვილმა ქუთაისის თეატრი ნამდვილ ტრიბუნად აქცია.

ქუთაისის თეატრი—ეს რევოლუციონურ განწყობილებათა ცენტრია. აქ კი არ ესმენდნენ სპექტაკლს, აქ ახალგაზრდობა ხმაწყობილად ისვრის ლოზუნგებს, აქ თავად-აზნაურობა იბრძვის დემოკრატიას. დემოკრატიის ეს კამათი თეატრს გადააქვს მასაში. აქ თეატრმა დიდ-ქალაქის სასახლეები და ქვაფენილები გასცვალა მიყრუებულ, შორეულ სოფლებსა და პატარა დაბებზე. პირველად თეატრის ისტორიაში აქტიორები თეატრთან აგებენ ბარიკადებს, აქ მათ გამოაქვთ თეატრის დეკორაციები.

ბარიკადებს იქით—მთავრობის რაზმები—ყაზახები. საქართველო ბობოქრობს და მხურვალედ ეწევა რევოლუციონურ-პოლიტიკური შეგნების დონისათვის. მოვიგონოთ თუნდ ის როლი, რომელიც ითამაშა საქართველომ რევოლუციის პირველ დღეებში. მეტად საგრძნობი იყო თვითმპყრობელობის რეჟიმის მიერ დაჭერილი ფეხის ქუსლის სიმძიმე და ამდენად შეუპოვარი იყო მისთვის გაცემული პასუხი. საქართველოს რევოლუციონური ახალგაზრდობის იმ დროის სულიერ საზრდოს და აღმაფრენას აძლევდა ქუთაისის თეატრი. ამავე თეატრის მახლობლად გაიზარდა შეამბოხე პოეტი ვლადიმირ მაიაკოვსკი, რომლის სახე კედელზე მოგდებული გიმნაზიელის ქუდითა და სრული გამომწვევი ცეცხლიანი თვალებით სამიტინგო ადგილად გადაქცეულ თეატრის მოზარდთა შორის სიმბოლურად განსახიერებდა იმ ახალგაზრდულ გატაცებასა და ცეცხლს, რომლითაც იწოდა 1905 წლის ქუთაისის თეატრი თავის მასწავლებელთან—**ლადო მესხიშვილთან.**

**ვარო მესხიშვილი.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ნ-76.

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.

პროლეტარიატის დიქტატურის სადარაჯოზე.



პროფკავშირელი მუშა სამხედრო ვარჯიშობაზე. 15—25 ნოემბერი საბჭოთა კავშირის თავდაცვის დღეებია.

# თეთრი ქალაქი

### კარვების კოლონა

თითქოს ქვემეხიდან გამოვარდნილმა ყუმბარამ გადაჭრა ველი და შორს მთათა სიღრმეში ბოლი ადინა. ისე გამოიჭრა თბილისის რკინის გზის სადგურიდან სახალხო მატარებელი ნელა მიაქანებს. შესძახა და ტვირთით შეფუთული მგზავრები შორს გადატყორცნა. ორთქლმავალმა ქალაქიდან პირველ პლატფორმას ნელა მიაქშინა. შესძახა და ტვირთი გაძლოკ ბორბლები შეაჩერა. მეწევი და ბარბაცი დადუმდა. სარკმელს ქვეშ მძიმედ ამოისუნთქა. გულზე დაწყობილი მეარტილიანი ქვემლით სხაზე ცის თაღზე მხვილი, თავგადასული ქალი ორთქლმავალ კვამლისა, რომელიც ბოლქვებად აქშიდა. ავჭალის წყალსადენის ველზე წითელარმიელთა ათეულები მოდიოდა.

სახალხო ვაგონების ღია პლატფორმებზე ცოცხალი ხალხი იბურება. სამხედრო ფორმაში გამოწყობილებმა დასტოვეს სამგზავრო მატარებელი. ახლა, წასასვლელად მომზადებულ ლოკომოტივის ხმაზე უკან იხედებიან —მეზავლურნი მხიარული თვალებით გვეცქერიან და აქ ხედავში დიდი ნდობაა, სიყვარული წითელ ჯარისადმი, რომლის სახითაც მათ წინ ბანაკში მომავალი გუნდები იდგა.

მატარებელმა ფეხი აითვა. მგზავრები ინსტიქტიურად თავებს უკან იქცევენ, უკანასკნელად ათვალიერებენ უკან მოტოვებულ პატარა ქოხს—პლატფორმის სახით.

გრილში სიომ ნელა დაქროლა მინდორში, აათამაშა მსუბუქი საგნები, ქარს ეჭიხანს კიდევ მოჰქონდა ხიდზე გამავალ მატარებლის ზრიალის ხმა და ბოლის ისიც მოსწყდა.

პლატფორმაზე ჩამომსხდარი ხალხი დაიძრა. სხვადასხვა მიმართულებით გაეშურენ. ლიანდაგის მარცხნივ მწკობრად გაშენებული ლამაზი ბაღებია. ქესტით ნახტრავი ორსართულიანი სახლები აგურის ფერზე არიან. აქ № ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბია. შტაბის გვერდით ხეივანში თეთრი ტილოს კარვები. ეს მეთაურისა საზაფხულო სახლებია. ლიანდაგის მარჯვნივ გორაკი, მას ხევი უვლის ორივ მხრივ. ავჭალის სადგურისაკენ დიდი ღელეა — ჯარხანი. ხევში მრავალი ქვიშაა და ამისათვის ბოლოდან მას რამოდენიმე ვაგონი კარზე მოფენილია, გორაკის ძირიდან იშლება ბოლო გარეული დაბლობი. ვაკე დახაზულია სიერმე და სიკალესებო ბილიკებით.

ჩვენ ამ დაბლობს შევუდექით. გზაზე გვეწვია წითელარმიელის. მას სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი უჭირავს ხელში. ახალ ჩექმებზე შემჩნეული განიერად მოაბიჯებს

№ ლეგიონი სად არის!

ვეკითხებით. თანაც ჯიბიდან პატარა ქაღალდს ვაძლევთ. მეშინია მისამართი არ შემეშალოს, თვით ეს ბრძანება შტაბიდან მივიღე სახკომის მიმართ, სადაც მე ვიგზავნებოდი სამუშაოდ.

— მეც იქ მივდივარ ამხანაგო და გზასაც გასწავლით. ერთად ვიაროთ.

მეუბნება წითელი ყაზარმის მიერ აღზრდილი. ხმაში სჩანს, რომ ის კარგა ხანი უნდა იყოს წითელ მებრძოლთა რიგებში, არ აკლია ამხანაგური თავაზიანობა, შორსმჭვრეტელობა და გასაკის უნარი. შეგვეწრებინი სახე კარგად გამოიყურება. ეს კაცი მიზიდავს და ფეხდაფეხ უსწორდები, ჩქარა მივდივართ

იდეოლოგიას — გამოსავალს ეძებს. ფიქრი მაინც ჯიუტად დგას მის წინაშე.

— აი, დაეწიოთ და გაუსწროთ იმას ნიშნავს, ა! გაიხუმრა კიდევ მეზობელი, ოხუნჯობა გაიმართა.

— ჩვენი ასეული მაინც არ ჩამორჩენილა. ბეორე ევროპის მაჩვენებელს მაინც გადავაჭარბეთ მესამეში?

არ იშლის ამბრონი. თავისი უნდა გაიტანოს. ახლა ის სხვა დიდების სინჯავს შეუდგა, უფრო გულმოდგინეთ ეძებს.

— ბიჭებო! აბა აქ ენახოთ ვინ გამოვა გამარჯვებული!

იძახის პეტრე.

— ვინც დამკვრელი იქნება!

მეორე მოდის. ხმა მაღლა წაუკითხავს თავის ჯგუფის ხელშეკრულებას. პირობა ურყევია და სავალდებულო. თვით ნაკისრი ვალდებულება უნდა გაანაღდონ დროზე.

ფრონტელები ყოველდღიურად ადევნებენ თვალყურს შეჯიბრის მსვლელობას. ეს მასიური აღმოქმედებაა. მასის შემოქმედება — სოციალური შემდგომი განვითარების, წინმსვლელობის.

— დღეს გასამართლებაა დეზერტირის ამხანაგებო?

იმბობს მეორეხე. რადიოს მოწყობის თავს ანებებს და ჩვენთან მოდის. მაგიდას, დალაქიშვილი უზის. ის ლეგიონის უფროსი მასწავლებელია. წერა-კითხვის უცოდინართა სიას ადგენს:

— ამხანაგო მასწავლებელო, მეცადინეობა.

იუწყება ცვალებადელი.

— საღამოთ?

პასუხობს. მისი ჯგუფი იშლება. ნაწილი მახმატის მოთამაშეთ შეუერთდა. ნაწილი დამკას მიუჯდა და დომინოც გადმოიღეს. ისიც მოიშველიეს.

წითელ სუფრიან მაგიდას ირგვლივ მრავალ ფიქრებით გატაცებული ხალხი უზის. თვითეულს აქვს საკუთარი საზრუნავი. ზოგს ოჯახი ახსოვს. ზოგს შემოდგომის თესვა და ბაღ-ვენახის დაკრეფა. ზოგი წარმოებაზე ფიქრობს. და დაზგებს. შორიდან ესალმება. არიან რკინის გზელები: მემანქანეები და მეცხრეები. იმათ ელექტრონის და ორთქლის ძალა უდგიათ გასაჭირეთ.

შუა მაგიდაზე ფანჯარა აბია. მის ახლოს „საერთო რვეული". ზედ წარწერაა: „კითხვა-პასუხისათვის". ეს წითელ ყდიანი რვეული ამჟღავნებს იმ მრავალ მხრივ აზროვნებას, რომელსაც იტევს ნაწილი. ვფურცლავ. პირველ გვერდიდანვე მეტად მკვლევრ ხელით. წაქცეული ასოები ფანქრით დაშიფრულია.

მიყვება ქვევით. კითხვათა სერია მრავალფეროვანია. გამოხატავს ახლად მოსულთა ფსიქოლოგიას. აშკარავდება, რომ ისინი დაინტერესებული არიან მიმდინარე სოცმშენებლობის აქტუალური საკითხებით.

მათ შორის მრავალი ოჯახის მეთვალყურეობით არის დაფიქრებული, ფიქრობს კერაზე და აწუხებს ჯაფრი.

ასე ქვევით. აქვე შეხვდებით საგარეო პოლიტიკის კითხვებს, საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობას, საბჭოთა და უცხოეთის დიპლომატიას.

კარავი ელექტრონის შუქით ნათდება. აფერადდა კედლები. შუქისნობაში მონაწილეობენ ირგვლივ მდებარე საგნები.

— ამხანაგო შიხიელ! მობრუნდა მექონე—



ლენინგრადის ელექტრო-სადგური

ჩვენმა ასეულმა გაავრცელა სესხი: „ხუთწლედი ოთხ წელში". ჯერ-ჯერობით შეგროვილია 370 მან. და ერთი თვის ხელფასი.

მის სიტყვაში არის შინაგანი ენთუზიაზმი, სიყვარული და ხალისი საქმისადმი. კომკავშირული ხელმძღვანელობს სესხის რეალიზაციას და ეჯიბრება სხვა დამხმარე ჯგუფებს.

— ჩვენ, ამხანაგებო, ვართ ისეთ ხანაში, როდესაც მთელი მუშათა კლასი გადავიდა სოციალისტურ მშენებლობის მთლიანი ფრონტით შეტევაზე. კაპიტალისტური ელემენტების მოსპობის საფუძველზე. იმ გარდატეხის მილიონები ქმნიან ჯერ არ ნახულ და გაუგონარ ტემპებს. ასეთი ტემპები არ ახსოვს კაპიტალიზმს. ის მხოლოდ ჩვენი საკუთრებაა. სოციალიზმის მშენებელ კლასის თვითეულის წვლილი ემატება ავურიცით იმ დიდ შენობას, რომელსაც მშრომელი კლასი აშენებს სოციალიზმის სახით.

— ვაშა!

— იაშ?

არის გამოძახილი, ყველას სწამს დიადი საქმის შესაძლებლობა.

— ტემპი, ტემპი გვეჩქარებო ამხანაგებო!

გამძლეობრებით იმბობს ჩოჩიაე. სქელ თავზე შემოკოჭებული ქუდი მაღლიდან ისვლება.

დღის მუშაობის მზიდ დადიმიწის მკერდი გაახურა. გაცხელა პირდაპირული ღრმა ღელის ზეგანი და ბოლო ... მზის სინათლეზე ნელა აინთო სათიბი. კოლმეურნეობის ბალახი ბოლოკი. ნელა იწევება მზეზე და მთებში ალთი ალყა შემორტყმული დაკიდებულან სივრცეში. გზები გადაჭრილია, ცეცხლი გადადის შეტევაზე. ღამის სიბნელეში თავმოკვეთილ, გამომშრალ გორაკზე ამული ალის ენები პირბალებენ. ღელედებით უცლიან მთის კალთებს. ქარზე წინ მიიწევენ... ეს ინატრებოდა ქალაქის თავზე და ჭიაკოკონა გვეგონებოდათ.

ბანაკის თავი გაყვეთა პროჟექტორების სხივებმა. ფერადი კონა ირხევა ზემოდ და ათვალიერებს ღამის მეცადინეობაზე გასულ ათასეულს. კარვების წინ გამოდიან გაკვირვებული, მიჩერებიან მჭრიალად გადაჭრილ ზოლის თამაშს და საკუთარ გულში ატარებენ მებრძოლ აზრებს, აზრი ნათელია. მესამნეები იმ შუქივით, რომელიც ასერის სივრცეში ძლიერ რხევებს. ათასეულ გულში მარხია: — მე მონაწილე ვარ სოციალიზმის შენების, გუშაგი მუშათა კლასის ინტერესების მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის ავანგარდი". იმის კითხულობენ ფრონტელები თავიანთ გულის სიღრმეში.

მიხ. ჩიქოვანი

# ქვეყნების აღმოჩენი

ანგარიში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ერთხელ, კვირა დღეს, ჩამოვიღე ძველი ატლასი
და გადავფურცლე ჭრელი რუქა მივიწყებული.
ვნახე ნაცნობი ადგილები...
ჩემი ქალაქი...
ვნახე უცნობი სხვა ქვეყნებიც
ჯერ არ ნახული.
„ეგდოს თავისთვის!“
და ატლასი ისევ მივაგდე.
მოგზაურობამ ამ ქვეყნებში უკვე მომქანცა...
ბევრი ვიგემე...
ბევრი შხამიც დამალევინა!
და, აი, ერთხელ კრების შემდეგ, მოულოდნელად...
— ჯერ არც მჯეროდა...
ჩემი თავი სიზმრად მეგონა!—
მითხრეს:
— გადაწყდა გამგზავრება ოცი ამხანაგის-
და მატარებლით გამოვქროლეთ.
გამოვიარეთ უკვე ვარშავა!
და საღამოზე — საზღვარზე ვართ!
ვაგონში უცბად ჩამოვარდა მკვდრული სიჩუმე.
არვინ ოხუნჯობს...
სჩანს ეკლის ხლართი
და იარაღში ჯარისკაცები!
ვხედავთ სადგურზე ნათელ პორტრეტს,
ლ ე ნ ი ნ ი ს პორტრეტს.
ხუთი დღე-ღამე ვიმოგზაურეთ!
ფანჯრის გადასწვრივ კასპიის ზღვაა...

მთის მაღალ წვერზე გადმომჯდარა გავსილი მთვარე
და ვრცელ მინდორზე მწვანე შუქი მოუფენია.
ბაქოს ბურღები...
ყველგან ნავთის შადრევნები!
და ხარკოვშიაც სახლი ცამდე აშენებული!

ვნახეთ სოფელი, ძველი სოფელი
და ვნახეთ გლეხის კულაკთან ბრძოლა!
დონზე მრავალი ქურა-ღვიმელი,
სადაც ნახშირი ცეცხლად ღვიოდა!..

ვნახე თბილისი, ვარსკვლავიან ზეცას რომ ჰგავდა,
ხოლო მაღლიდან მას დასცქეროდა ღამის წყვდიადი!
სიტყვით მივმართეთ
მიტინგზე მუშას, წითელ არიაძს.

ერთს თვალი მოვკარ რუხ პიჯაკში, ჩემებრ კეპკაში...
ვნახე და მისი სიტყვა აღარ დამავიწყდება.
შემდეგ ის კვალად კრემლთან ვნახე,

როდესაც ხალხი აწყდებოდა მრავალათასი.
აქ იგი ყველას აცქერდებოდა..
სალამს აძლევდა!
ჩვენც ხელს გვართმევდა — ეს იყო ლ ე ნ ი ნ!
ასე ახალი ქვეყანა ვნახე...

აღმოვაჩინე.
აღმოვაჩინე მე ჩემი თავი
იმ მასებში და მასებ შორის.

და გადავტყორცნეთ მოწოდება მთელს ქვეყნის ზურგზე
ყველა ერის მუშათა კლასში!
ჩემი ნაბიჯი, ნაბიჯია მწყობრი კოლონის!
ჩემი სიცოცხლე გამძაფრებულს გრიგალს მოუცავს!
და ხშირად მესმის მყუდრო ღამეში

ხმა ღაფდაფისა—ბრძოლის ნიშანი!
ატლასს შევხედავ და ვიძახი:
აღზდექ! აღზდექ ჩაგრულო ხალხო!
მოგვიწოდებენ დროშა გავშალოთ!

ლიანდაგებით, შარა გზებით, ზღვებზე გადვივლით
და გადავთელავთ მთების მწვერვალებს!
მზეც გულს აგვინთებს მგზნებარე ცეცხლით
და წ ი თ ე ლ დ რ ო შ ა ს მივუძღვნით სალამს!

ი. ბეხერ



ტრამვაის რელსების დაგება შპალებზე პლეხანოვის პროსპექტზე.



ქალთა დამკვრელი ბრიგადა



წებოს სახარში ქარხნის დამკვრელები.

# ფეხსაცმელების ფაბრიკაში

## ფაბრიკა პირველი ნახვით

ადელხანოვისეულ ფეხსაცმელების ქარხნის შენობას უცვლელად შერჩენია წინანდელი იერი: ის უბრალოთ, ყაზარმის ყაიდაზეა აგებული, ჭერი დაბალი აქვს, სინათლე ცოტა, ეზო ვიწრო.

საერთოდ მთელ ფაბრიკაში დიდი სივიწროვეა. ადმინისტრაცია მოთავსებულია ერთ პატარა ოთახში, სადაც განძრევა სჭირს, მაგრამ ეს სივიწროვე უფრო საგრძნობია ფაბრიკის შიგნით, საამქროებში, რის გამო მუშები გვერდით - გვერდზე მიკრულნი მუშაობენ.

ფაბრიკა სისუფთავის მხრივაც ვერ დაიკვეხნის.

ეტყობა ჰიგიენურ პირობების დაცვას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება და სწორედ ამ დაუდევრობას ბრალი უნდა იყოს ის, რომ დღემდე არც ერთ საამქროში არაა მოწყობილი ვენტილიაცია. მუშებს ტანისამოსი საამქროებშივე უკიდიათ, რაც დაუშვებელია.

მუშათა სასაუზრო და დასასვენებელი ოთახიც შეუფერებელია და სისუფთავე არც იქაა დაცული.

## მუშაობის პროცესი

ყველა ეს დეფექტები თვალს აღარ ეჩხირება და ძნელ ჰაერსაც მალე ეჩვევი, როცა აკვირდები მუშაობის საერთო სურათს და ტემპებს. ყოველი მუშა აკეთებს განსაზღვრულ საქმეს, მაგრამ ისეთი სიმარდით და მოხდომებით, რომ გრცხვენია უბრალო მაყურებლად ყოფნა და გინდა შენც ჩაება ამ იშვიათ გარჯის ფერხულში.

თითქმის ყველა საამქროში მუშაობა მექანიკურად სწარმოებს და მანქანასა და ადამიანს შორის ნამდვილი შეჯიბრებაა.

პირველ საამქროში ამზადებენ საძირეებს და საქუსლეებს. სხვადასხვა მანქანები ნაირი ზომის რკინის თარგებით სწრაფად სჭრიან საძირეებს და ლავაშების ტოლა სქელ ტყავებისაგან ძირს მხოლოდ გამოუსადეგარი ნაკუწები სცვივა, იქვე სდგას ამ ნაკუწების ზვავი, რომელსაც „უტილსირიოთ" იყენებენ.

მეორე საამქროში, პირველ დაზგაზე ქარგლები გამალებით ფუსფუსობენ და ფრთებ გაშლილ „ჩიტების" მაგავსად გამოყვანილ საპირეებს, დანარჩენ დაზგებზე, მანქანების დახმარებით უკეთებენ კანტებს, საყაითნეებს. იქვე ამზადებენ ნაბდის ჩექმების ზედაპირს თავის ყელით და ძირების გამოსაკერებლად გზავნიან მესამე საამქროში. აქ ჯერ მანქანით კალაპოტებზე ამაგრებენ საძირეებს, სვამენ საპირეებში და მანქანითვე ზოგს პაწია ლურსმნებით კერავენ, ზოგს კი ძაფით. სხვა საამქროებში სწარმოებს გაჩარხვა, კალაპოტების ამოღება, გაკოხტავება და გალაქვა.

მანქანების საშუალებით იკერება მხოლოდ წუღები, სანდლები, ფოსტლები და ნაბდის ჩექმები. ასეთი სახის ჩექმებს მთელ საბჭოთა კავშირში მარტო აქ ამზადებენ და მათზე დიდი მოთხოვნილებაა.

ყველა საამქროში მუშაობა ორ ორ წყებათ სწარმოებს, მაგრამ მექანიკური დაზგების დამზადებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და რადგან ჯერ - ჯერობით ახალი დაზგების შეძენა შეუძლებელია, ფეხსაცმელების კეთვა სწარმოებს ჩვეულებრივი წესითაც.

ამ საამქროში მუშაობს 40-მდე ხარაზი, რომელნიც გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე მანქანებზე მომუშავენი, მაგრამ, შედარებით, მათი შრომა მაინც უბარაქოა და ნაყოფს ცოტას იძლევა.

ფაბრიკას აქვს ამგვარივე წესით მომუშავე მეორე საამქრო, სადაც ასე ვთქვათ, იკერება საგარეთო სახმარი ყელიანი და გულღია ფეხსაცმლები.

## ერთი წვეთი სისხლი..

ფაბრიკაში უმეტესად მუშაობენ ახალგაზრდები, მათ შორის ბევრია ქალი. წითელ თავსაფრებით თავებ წაკრულნი ისინი ყაყაჩოებს გვანან ამ ორომტრიალში, მაგრამ მუშაობით გართულებს სრულებით არ ემჩნევათ რუსთაველის პროსპექტზე უქმათ მოყიალე ქალების სინაზე. მათი მკლავები კუნთებათაა ქცეული და გვერდით მდგომ ყმაწვილებს სჯობიან კიდეც. ქალები მშვენივრათ მუშაობენ მანქანებზე და დაზგების ყოველი ხრახნილი ზეპირათ იციან. იციან თუ როგორ უნდა უწამლონ უქეიფოდ გამხდარ მანქანას და მექანიკებს იშვიათად მიმართავენ.

ჩვენ გვაოცებდა მუშების ერთიერთ შორის დამოკიდებულებაც.

კერძოდ ნამდვილი ამხანაგური და საქმიანი განწყობილებაა ქალებსა და კაცებს შორის. ლაზღანდარობა სრულებით აღკვეთილია და უკმეხ სიტყვებისათვის ენა არავის მოუბრუნდება. ასეთივე საძაგალითო დამოკიდებულება შევნიშნეთ საამქროების ხელმძღვანელებსა, ზემდგომებსა და ხელქვეით მუშებს შორის.

აღსანიშნავია აგრეთვე მათი ერთმანეთისადმი მზრუნველობა. — ერთ ქალს მანქანამ ცერი გაუკაწრა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო მუშაობა. წვეთ - წვეთად გამოსდენ სისხლს მუშაობის შეუჩერებლად, წინსაფარზე იწმენდდა. ეს შენიშნეს გვერდით მომუშავეებმა და მაშინვე აღმოუჩინეს პირველი საექიმო დახმარება.

— აბა ადვილად შეიძლება სისხლი მოგეწამლოს, როგორ შეიძლება ასეთი უყურადღებობა!

— ერთი წვეთი სისხლის გამოდენით?

— სწორედ!

უსაყვედურა მუშა-ექიმმა ქალს და კვლავ მანქანებს დაუბრუნდენ.

## წაფორხილება..

ფეხსაცმელების ფაბრიკა მოწინავე წარმოებათ ითვლება.

საწარმოო - საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ფაბრიკა დაჯილდოებულია გარდამავალი დროშით, აგრეთვე ჯილდოები მიღებული აქვს ორ ბრიგადას და 35 მუშას პერსონალურად.

მაგრამ ფაბრიკამ ოქტომბრის პირველ დეკადაში საგრძნობლად წაიფორხილა: ადმინისტრაციის გეგმით ოქტომბრიდან ფაბრიკას დღეში უნდა დაემზადებინა 3300 წყვილი ფეხსაცმელი, შემხვედრ გეგმის შედგენის დროს მუშებმა დაადგინეს 3500 წყვილის გამოშვება, მაგრამ ადმინისტრაციის გეგმის შესრულებაც ვერ შესძლეს სრული 100 პროცენტით.

ეხლა ჩამორჩენილობა სავსებით გამოსწორებულია და ფაბრიკის დღიური პროდუქცია უკვე აღწევს 3500 წყვილს.

## ცრუ დამკვრელები

ფაბრიკაში ფართოთაა გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ნაყოფიერების ზრდასთან ერთად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და კლებულობს სამუშაოზე უმიზეზოთ გაცდენის შემთხვევები.

საკავშირო მასშტაბით გამოცხადებული საწარმოო მანევრები უკვე ტარდება მთელ ფაბრიკაში. დაარსებულია მანევრების შტაბი და ჩამორჩენილობის ცალკე შემთხვევათა თავის დროზე გამოსამჟღავნებლად გამოყოფილნი არიან მზვერავები.

მუშების საერთო დადგენილებით ფაბრიკა მონაწილეობს საკავშირო საწარმოო კონკურსშიაც.

ყველა ამ საერთო მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს დასაგმობ მოვლენებსაც. ამას წინათ გამოაშკარავებული იქნა ცრუ დამკვრელობა, რომლის აღმოსაფხვრელად მუშებმა თავის დროზე მიიღეს ზომები და ცრუ დამკვრელები საჯაროთ გაკიცხეს. — ცრუ დამკვრელების გვარები თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული მიშკართან.

წარმოების პროცესში არევდარევის შემტანთა და ხელის შემშლელთა წინააღმდეგ მუშებისაგან შემდგარია საწარმოო რევოლუციონური ტრიბუნალი.

## ჩვენი მომავალი მუშაობის შესახებ

ფაბრიკაში ჩვენი მომავალი მუშაობის შესახებ ხანგრძლივი თათბირი გვქონდა ადმინისტრაციასთან.

ჩვენი მომავალი მუშაობის მთავარი მიზანია მუშებში კულტგანმანათლებელი მუშაობის გაჩაღება.

**რაჟდენ გვეტაძე.**

**(მწერალთა მე-5 ბრიგადის წევრი).**



ქუთაისი. საგავშო კერა მაუდის ქა რხანასთან სწავლის საათებში.

# მთების კალთებზე არის სოფელი

სოირმის ქედს რომ გადაივლით, კიბის საფეხურებისებური ჩამოლაგებით დაღმართის და მუხლებში ჭრებალიოს ჭალებზე სწორდება. რიონისაგან ცერულების ზოლებით დატეხილი ქალებით იწყება რაჭა.

შემოდგომაა. ამ დროს ქარვისფერული უნდა იყოს ველები, აქ კი გაზაფხულის სიქოელეა.

ისმის ბავშვთა ჟრიამული, ქალთა კისკისი... რაშია საქმე?

სიმინდს სტეხენ, ქალი და კაცი მოსდებიან ორეს და ცხენი ამოავლდებერებენ ყანებს შემოდგომის ფონზე.

აქ იწყება შრომა კოლექტიური. ცხენი: ეს ქალები, კაცები, მოხუცები და მოხუცებულნი საერთო ძალითა და ერთსულოვანი სიხალისით იწევენ. ჭირნახულის, წლის ნაყოფის და ამიტომ აქ შრომას არა აქვს გულჩათხრობილი სახე:

— შრომა აქ ზეიმია!

და ეს ზეიმი გიტაცებთ თქვენც, ეს მლიშარი სახეები ხალისს გვგვრიან, ეს კისკისი უცნაურ, გამახარებელ სიონებიანი ცვლინება გრძნობას. გხიბლავენ და გეხალისებიან სიცილით: ეს სერიოზი გადაიტანო სხვაგან, ეს გორგოლაები გადასცეთ სხვებს, იმათ, ვინც დღევანდელ სოფელს გაურბის და ჰგონია:

— ლუსიკის აკვანი მხოლოდ საოპერო თეატრია!

### მთლიანი კოლექტივიზაციის გზით

მოვიარეთ ჭალები, გავწვრივ მივყვებით რიონის ნაპირს, გვერდით მკერდისა წლის ცოცხალი „ხვანჭკარულის" ბაღები, ყურძნის დამწიფებული მტევნები თრობული ქალის მორცხვობით გამოიყურებიან ლალნარივ ფოთლებიდან და უკან არც სიხალისე გრჩებათ:

— უკვე წამოეწიეთ ამბროლაურის რაიონს, რაიონს მთლიანი კოლექტივიზაციისას!

ყველგან ახსოვს წრეებიდანელი საგაზაფხულო ტემპები: ბევრგან საოცარმა მოდუნებამ შეცვალა იგი, ბევრმა „პანიკიორმა" მიატოვა კოლმეურნეობის იქით მყოფ ჩირგვებს, მაგრამ არც ტემპმა და არც გაწყვეტილებმა რადიკალური ცვლილება არ დატოვა აქ, ამ რაიონში.

პირიქითაც: რიგდენი გამბედაობა, საკუთარი თავისა და ახალი საქმის დაჯერება უნდა ჰქონოდა ამ ხალხს, რომ იმათ დარჩენილიყვნენ — რაც იყვნენ და ეს იმის შემდეგ —რაც მოხდა!

ტყუილი არ ჰქვია ერთ კოლექტივთაგანს „გაბედული ნაბიჯი"! დიახ, ეს რეალობა დიდი გამბედაობის შედეგია და,—ნუ გიკვირთ, — შეუჩერებლად! ბევრ სკეპტიკს არა თუ შეჩენება, ალბათ ინტუიციაც არა სწამს ამ ხალხის, მაგრამ რა ვუყოთ: ჩვენს პოეტებშიაც ბევრს ჰგონია, რომ პოეზია მხოლოდ „მამადავითის" სამრეკლოზე იბერტყს კალთებს. მიუხედავად ამისა „კლდის ყვავილი" დღეს ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას ეწოდება.

—„კლდის ყვავილი!"

დამიჯერეთ— აქ უტყუარი პოეზიის კვალიც ჩანს.

და სწორედ ამ რაიონში დღეს ყველ ზეჭმნილია „ახალი სოფელი", რომელსაც შემოქმედების ახალი ტემპი და იერი ახასიათებს. დღეს აქ ამაყათ ხარობს „კლდის ყვავილი", მშრომელთ გლეხობის „გაბედული ნაბიჯი" ბევრ სხვასაც მოატიბს გამბედაობას; ამგვარ „პირველ ნაბიჯს" სხვაგანაც საქმით მიმდევარი უჩნდება; „თოლადის" სიმტკიცით ხვდება „ახალი ცხოვრება" მტერითა შემოტევებს, „წითელი გუთანი" უდარდელად აპობს მიწის შიგ მკერდს, ამ დროს „შრომის სხივი" სიყვარულით ეალერსება „ოქტომბრის მონაპოვარს"—„ტრაქტორს", გვეხოშის ასეთ „შეერთებულ შრომას" „წინსვლა" სდევს და თავდება „გამარჯვებით".

### ერთი საუკეთესო გამარჯვებაა—ხიდეშლების კომუნაც!

იქ, სადაც საკაოს მთები კალთებს აიკრეფს—მოსჩანს სოფელი. დიდი არაა: სულ 57 კომლი და აქედან 54 კომუნაშია გაერთიანებული.

როდესაც ეს პირს იგრაგნს და საკაოს წვერს მზე ზურგს უჩვენებს, მთებს ნისლი ფარავს და ამ ნისლში გახვეული იყო სოფელი.

რაღონდაც იბადება ანალოგია: ლეზილეზე ნაკვერჩხალე ნაცარწაყრილი, მიფიწებული.

მოაშორეთ ნაცარი ნაკვერჩხალს, გახსენით ჭუჭი სახე ულრანი მთის ბუნებისა, ქედს იქით მოაჭყიეთ ნისლი და სოფელი მზის სხივებით ნადიერ ოქროს დაემსგავსება, ეს ასეც მოხდა ხიდეშლებში:

— საკმარისი იყო კოლმეურნეობის ტალღა დაეხეთქებოდა ამ უხიერი მთის კალთებს და თითქოს საუკუნეებით ჩამოარეცხა საღლეისოთ—წარსული ეკოლოტერობა, უნიათობა, კარჩაკეტილობა, გულჩათხრობილება და დაწყევლილმანებული შიშ-ჩუმიათობა!

კომუნა!

დიდი და დიადი სიტყვა, რომლის ღრმა აზრსა და მნიშვნელობას დღეს ბევრი საქეთარი გონების თვალით ხედავს.

დასამტკიცებლად უამრავი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ

## დავიწყოთ სტატისტიკიდან:

გაერთიანებულია 54 კომლი 479 სულისაგან შემდგება. განსაზოგადოებული: სახნავ-სათესი—164 ჰექტარი, ვენახი—7,7 ჰექტარი, ბოსტანი—3, ბაღი—3, საძოვარი—64 ჰექტ., მუშა-საქონელი 149 ულელი, მოზარდი—27, ცხენი—25, მეწველი ძროხა—211, ღორი—123, ფუტკარი—102 ძირი.

აი, ყველაფერი ის, რაც მათ გააერთიანეს, რასაკვირველია, ყველა საწარმოო იარაღ-მანქანებით.

ეს ჰქონდათ მათ მიმდინარე წლის თებერვალში, როცა კომუნა დაარსდა.

არ განსაზოგადოებულა ფრინველები, საცხოვრებელი ბინები ეზოებით.

ალბათ ვინმე იკითხავს:

— კი, მაგრამ ეგ რა კომუნაა? სახლი თავისი, ეზო თავისი, ქათამი თავისი, ბატი, იხვი და სხვ. ამაზე პასუხს ამხ. იაკოვლევის სიტყვა იძლევა მე-16 პარტყრილობაზე.

— „შეიძლებოდა აუგული მაგალითის მოყვანა კომუნების პრაქტიკიდან, რომელთაც რამდენჯერმე გაამრავლეს თავისი შემოსავალი, საუცხოოდ დააყენეს მეურნეობა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ისინი დაეყრდნენ არა საჩქარო წესით საერთო საცხოვრებელი ბინის აგებას, წვრილმანი არა აბსოლუტურ გათანასწორებას, მშობლებისაგან არა ბავშების გათიშვას, არამედ განვითარებას სარძეო საქმისას, მეღორეობისას და ბოსტნეობის ისეთი რაოდენობით, რომელიც არა თუ კომუნის წევრს დააკმაყოფილებდა, არამედ ქალაქის მომარაგებისათვის გადარჩებოდათ რამე"...

და როდესაც ეცნობით ხიდეშლების კომუნას, ფიქრობ, თითქოს ამხ. იაკოვლევს ერთი ეს კომუნაც ჰქონდეს მხედველობაში თავის მოხსენების დროს.

მართლაც—რა მისცა ცენტრმა კომუნას? მხოლოდ და მარტოოდენ იდეური ხელმძღვანელობა, ხოლო იმის შესაცნობათ, თუ რამდენად სწორია კომუნის მუშაობა და რამდენად მტკიცეა მისი ეკონომიური ბაზა,—გავეცნოთ იმასაც თუ

## რა შექმნა კომუნამ?

ცხადია, ფართობი, რაც ჰქონდათ—არ შემცირებულა. მაგრამ დიდი განსხვავებაა შემოსავალში: წარსული წლის მოსავალი 8 თვემდე არ შეჰყოფნიათ, წელს კი საკმაოდ აქვს კომუნას მთელი წლის საკვები პური, ქერი და სიმინდი. ეს მარცვლეულობა არა თუ არ დააკლდებათ, ცოტაოდენ ჭარბსაც მისცემს, რომლის რეალიზაციიდან მიღებულ ღირებულებას კომუნარები ალბათ მეურნეობის სხვა დარგს მოახმარენ. ასეთი მოვლენა მთის ასეთი რაიონისათვის იშვიათია,—ამას დაადასტურებს ყველა, ვისაც, თუნდ კარგ მოსავლიან წლებში, გზათ მაინც გაუვლია აქეთ.

განსაზოგადოებულ 123 ღორიდან დღეს კომუნას ჰყავს 207 და რომ სტიქიურ მოვლენას არა (მოუგარდნილმა წყალმა გაიტაცა კომუნას 50 ხბო) დღეს კომუნას ეყოლებოდა 110 მოზარდი გაერთიანებულ 25-ის ნაცვლად. დღეს მაინც ჰყავთ მათ 60 მოზარდი. 102 ძირი ფუტკრიდან დღეს მათ აქვთ საუცხოოდ მოვლილი 160 ძირი ფუტკარი და თუ შარშან 17 თუთის მეტი ვერ გაიმეტეს ბაზრისათვის, წელს თაფლის ჭარბს 85 ფუთის რაოდენობით აძლევენ კოოპერაციას.

საგრძნობლათ გაფართოვდა სათიბი არე და თუ წარსულ წელში 2500 ფ. თივა მისცეს ბაზარს კოოპერაციის მეშვეობით, წელს თივის ჭარბი 6 ათას ფუთს გადაამეტებს მიუხედავათ იმისა, რომ გამოსაკვები საქონლის რაოდენობამ იმატა, და რომ ერთი სალეწი მანქანა მაინც გაემეტებინა ვისმეს ამ ხალხისათვის, რომელიც მუშა-ხელს ლეწვისათვის არ მოაცდენდა, მაშინ თივის ჭარბი 15 ათას ფუთსაც გადაამეტებდა.

მაგრამ, რაც ყველაფერზე უფრო ძვირფასია: კომუნას საკუთარი ძალღონით მოუწყვია ყველისა და კარაქის ქარხანა, საამისოთ ქურქებიც ყოფილა, რომელიც 25-მეტ კაცსა და [illegible] გაუძლია. ქარხანა სულ მეოთხე თვეა არსებობს, ამზადებს იშვიათი ღირსების დაშრეტილ კარაქს, საუცხოო ყველს და ამ ხნის განმავლობაში გარდა იმისა, რომ წევრებს ყველისა და კარაქის მარაგი არ შემოლევიათ, დღემდე კოოპერაციისათვის მიუციათ 6 ათასი მანეთის ყველი და კარაქი, რასაკვირველია, მტკიცე ფასებში.

იშვიათია წელს კარტოფილის მოსავლიანობა. ჭარბს 20 ათასი ფუთის რაოდენობით აბარებენ კოოპერაციას.

— ერთი პატარა ქარხანა, რომ მოგვეწყობია კარტოფილის ფქვილის საკეთებელი!—ნატრობენ კომუნარები.

მერე ეს ესმის ნატვრა, მათი ჩივილი?

შვიდი თვის განმავლობაში: მოწყობილია სახარაზო, სამჭედლო, სამკერვალო, სადურგლო. აგებულია ორსართულიანი ფიცრული მწყემსებისათვის, დროებით ფიცრული კარაქისა და ყველის ქარხნისათვის, ხოლო ამავე ქარხნისათვის უკვე იაწყებულია ქვის დიდი შენობა; მოუწყვიათ საერთო ბოსელი ასი ძროხისათვის და ასეთივე ორასი მოზარდისათვის, გაყვანილია საურმე გზა 8 ვერსზე, გაჰყავთ გზატკეცილი და სხვ.

აი, ის, რაც არსებობის მოკლე მანძილზე მოგვცა კომუნამ. მაგრამ, საკითხავია:

## სხვებმა რა მისცეს კომუნას?

— მოცემამ შენი ჭირი წაიღოს, შვილო,—ამბობს გამგეობის წევრი ქალი **ტერეზა ხიდეშელი**,—ჩაგვეციეიდენ, რომ ვერ შეძლებთ, დეიშალეთო, რატო უნდა დეეიშალოთ: უკანონოა ჩვენი კომუნა თუ?

— რომ ვერაფერი მოახერხეს, ახლა გვეუბნებიან მოსავალი შრომის მიხედვით გაიყავითო,—დასძენს თავმჯდომარე ბესო ხიდეშელი,—ჩვენ ერთი ოჯახის წევრათ მიგვაჩნია თავი და როდის იყო, რომ ოჯახში ასე ყოფდენ მოსავალს?

სამართლიანია ამხანაგების გულისტკივილი:

— ამ ხალხს ხალისი სჭარბობს, ხოლო ზოგიერთი რაიონში სკეპტიციზმს ვერ მორევიან.

და ალბათ ამის ბრალია, რომ ბევრი რამ აკლია კომუნას, რისი მიცემაც იოლათ შეიძლებოდა.

— ზამთრობით კვირაობით არის ხოლმე მოწყვეტილი სოფელი რაიონს და აქ დღემდე არაა საფოსტო პუნქტი მაინც, აფთიაქ-პუნქტის საგენტო, საგზაო მატერიალური დახმარება და ამშენებლობისათვის საჭირო სესხზედაც არავინ იწუხებს თავს.

ამ მხრივ დავიწყებულია კომუნა, მაგრამ ვფიქრობთ ამ ხალხს არც მე-16 პარტყრილობის შემდეგი რეზოლუცია ავიწყდება ხშირად:

— „კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა, როგორც არა ერთხელ მიუთითებდა ლენინს, შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ იმ პირობებში, თუ კოლმეურნეობას აღმოუჩენენ ფართოთ ორგანიზაციული მატერიალური და ფინანსიური დახმარება სახელმწიფოს მხრით".

მერე, სადაა ყველაფერი ეს?

მატერიალური და ფინანსიური დახმარებისათვის დღემდე თითი არავის გაუნძრევია და ეს მაშინ, როცა აქ მცირეოდენი დახმარებითა და სესხით ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა.

კომუნას თავისივე სახსრებით უხდება თავისი ცხოვრების მოწყობა და წარმართვა, და აი,

## შედეგები:

ჯერ კიდევ 21-ში მიტოვებული ეკლესია მშვენივრათ გამოუყენებიათ თიატრისა და კრების დარბაზისათვის. კომუნარებს თავიდან მიცვალებულთა საფლავის ჯვრები სამჭედლოსათვის გადაუციათ, მათ ზარებს აჰყიდენ და ამბობენ:—არც ერთს ფეხი არ დაშავებია. მოუსწორებიათ სასაფლაო, დაურგავთ ხეები, მოუწყვიათ სკამეიკები, დაუთესიათ კონდარი და დღეს აქ საუცხოო წალკოტია.

ზაფხულზე კომუნარებს [illegible] მოძრავი თეატრი და კმაყოფილიც არიან ამით. რამდენიმე სეანსი მიუცია მოძრავ კინოს, ხოლო საზამთროთ ჩამოყალიბებულა ახალგაზრდებისაგან სცენის მოყვარეთა წრე და ესენი გაართობენ კომუნარებს.

ჯანმრთელობაზე ზრუნვა თავისებურათ დაუწყიათ; შიდა თვეში 11 კომუნარი გაუგზავნიათ თბილისში საექიმოთ და მათზე 2000 მანეთზე მეტი დაუხარჯავთ.

ოცზე მეტი ავადმყოფი კომუნის ხარჯზე ექიმობდა ონში, ხოლო ორი კომუნარი [illegible] გააგზავნეს წყალტუბოს აგარაკზე.

წერა-კითხვის უცოდინარობისათვის სრული ლიკვიდაცია უქნიათ; ოთხად-ოთხი კაცია ამჟამად კომუნაში წ.-კითხვის უცოდინარი და მათ შორის არც ერთი არაა 70 წლისაზე უფრო ახალგაზრდა.

კომუნის არც ერთი წევრი არაა, რომ გამოწერილი არა ჰქონდეს გაზეთი და ამ მხრივ ცენტრის „დახმარება" იმით გამოიხატება, რომ თვეში ორჯერ თუ მიიღებენ გაზეთებს.

კადრების აღზრდაც არ დაივიწყნია კომუნას: ოცამდე ახალგაზრდა მოთავსებულია ონსა და თბილისში სხვადასხვა სასწავლებლებში. ერთით გამოუყვანიათ რამდენიმე ახალგაზრდა და ამჟამად ისინი მოანგარიშეებათ მუშაობენ კომუნაში, ერთ ახალგაზრდას საშოფერო კურსებზედაც კი აგზავნიან, რადგან კომუნარებს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მომავალი წლისათვის გზატკეცილის დამთავრება და ერთი საბარგო მანქანის შეძენა.

გაერთიანებისას კომუნაში მხოლოდ ერთი პარტიული იყო, ამჟამად კი აქ ითვლება 1 პარტიული, 11 პარტკანდიდატი, 20 კომკავშირელი და 30 გლეხსაც მოთხოვილი აქვს საანკეტო ფურცლები და მათ შორის გამგეობის აქტიურ წევრ ქალს, 60 წლის ტერეზია ხიდეშელს.

პერსპექტივები კიდევ?

დიდია, მაგრამ მათ ცალკე წერილიც ვერ ამოსწურავს.

არ მოგწონთ ოდესღაც ველური

## მთის ყვავილი?

აბა, სოფლიდან ოთხიოდე ვერსი გაიარეთ მთის სიღრმისაკენ და იქ, სადაც ხიდენარი შავ ზოლივით გაშლილია ტყეს, მოგეჩვენებათ მეურნეობა ისეთი, რომელიც ესოდენ მთას ახასიათებს. მაგრამ შეცდომაში არ შეხვიდეთ: ეს მეურნეობა უკვე მეხუთე თვეა დაირღვა, დღეს აქ ორსართულიანი ფიცრულში იმდენი წმინდა და ლაღი ენაწყვეტილებაა, რომ ტყე ხეების ნაცვლად, მეტყველ ადამიანებით სავსე გგონიათ:

— საღამოს ჟამზე, როცა მზე პირს იბრუნებს, პატარა ყმაწვილები მოერეკებიან საქონელს საძოვრებიდან. ლურჯ ხალათ გადაცმული, სუფთა ვედრებით ხელში, ზანტად მიმავალ ფურდებადქცეულ ძროხებს დარბაისლური მოთმინებით ელიან ხიშვში შესული დედაკაცები. მათი საწველი მანქანა ჯერ კიდევ საკუთარი თითებია, თითო მათგანი მოსწველის 10, 12 ძროხას და მიაშურებს ორსართულიან სადგომს. შრომის თითქოს მოქანცულობის დაღი დაესვამს სახეზე, მაგრამ აი, დანაყრდებიან თბილი თოხნელით და სუფთა კარაქით, გული მთის ცივი წყაროსი გაიგრილეს. ქოთქოთები უკვე ახლოდან ემოქნებიან ძილს, მაგრამ გაისმის „გარმონიკის" ხმა, მას თანამიმდევრობით აყვებიან ფეხები, რამდენიმე წუთი და ცეკვავს ახალგაზრდობა, კისკისებენ ქალიშვილები.

გადაიშლება შრომით მოქანცული შუბლი, სიცოცხლის ფერებით დაარბევს ახალგაზრდული სიხალისე მთვრალ ქოთქოთებს და ასე, ამგვარად. კაი ხანს მთის მეკმარ კალთებზე დანავარდობენ სიცოცხლისა და სიხალისის ხმები.

აქ ველარ გრძნობთ „ნანგრევთა სურნელებას".

— ეს ხმებია — ხმები ახალი ცხოვრების, ახალი შრომისა და შემოქმედების!

**ზ. რიონიძე.**

# შირაქის ნავთი

[illegible]



[illegible]



[illegible]

[illegible]



[illegible]

# ს ა ფ ე ი ქ რ ო შ ი

ციმრუტივით
ცეკვავს ქმოსი,
ტაშ-ფანდურით
ბრუნავს ჩარხი

და იქმნება
შესამოსი,
საკავშირო —
მშრომელ ხალხის!

შრიალი აქვთ
ბორბლის ღვედებს,
წკრიალი კი
ფანჯრის მინებს;

მრეწველობის
ზრდის იმედებს,
სოც შეჯიბრი,
აგვირგვინებს!

და გუნდ-გუნდათ
ისმის ხმები:
ნურც ერთი ნუ
ჩამოვრჩებით!

დამკვრელებო! —
წინ, ამ რწმენით!
პირველობა
იყოს ჩვენი!

და ქმოსი კი,
ცეკვავს ქმოსი.
ბრუნავს ჩარხი
ტაშ - ფანდურით

და იქმნება
შესამოსი
საკავშირო,
მშრომელ ხალხის!

მეც აქ ვდგევარ
ბრიგადირათ,
პროლეტარულ
მწერლის სახით;

ერთსულოვნათ
და ერთპირათ,
კოლექტიური
ჰიმნს დავძახით!

მხიარულობს
ქარხნის გული, —
საქმიანობს,
ჩვენი მუჯა;

დისციპლინა
სუფევს სრული,—
ვაშა, ვაშა,
შრომა-გარჯას!

**გ. ქუჩიშვილი.**

# სამხედრო ტურისტული ექსპედიცია ყაზბეგზე

მიმდინარე წლის სექტემბერში კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველომ მოაწყო ექსპედიცია ყაზბეგზე. ექსპედიციის მიზანი იყო გამოერკვია უფროსთა და წითელარმიელთა შემადგენლობის გამძლეობა, სიმარდე და მაღალ მთიან ადგილებთან შეგუება. ექსპედიციის მონაწილენი დაიყვნენ სამხედრო, მეტეოროგიურ, სამნეო, სანიტარულ და ფოტოგრაფიულ ჯგუფებად. ექსპედიციას მეთაურობდა ამხ. კუჩინსკი. თვითეულ ჯგუფის ხელმძღვანელს მიეცა კონკრეტული დავალება. 21 სექტემბერს ექსპედიცია დაიძრა ავტობუსებით შესაკრები პუნქტიდან.

სოფ. ყაზბეგამდე ექსპედიციამ მიაღწია რაიმე შეფერხებების გარეშე. ყაზბეგში მისვლისას ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ექსპედიცია შეუდგა ყაზბეგის „ალებას". იმავე დღის საღამოსათვის ექსპედიციამ მიაღწია 3000 მეტრის სიმაღლეს. ამან უკვე გამოარკვია ექსპედიციის მონაწილეთა ძალები და გამძლეობა. მეორე დღეს ექსპედიციას ჩამოშორდა 6 კაცი, რომლებიც უკან დაბრუნდნენ, რადგან აღარ შეეძლოთ განეგრძოთ ასვლა. დანარჩენმა 13 კაცმა დღის 12 საათისათვის მიაღწიეს გერგეთის საყინულეს და დაიწყეს იეროში მიტანა. მხოლოდ საღამოს შესძლო ექსპედიციამ, მრავალი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, გადასულიყო გერგეთის მეორე მხარეს. ამ გადასვლის შემდეგ კიდევ 5 კაცი ჩამოშორდა ექსპედიციას და ყველაზე მძიმე მგზავრობისათვის დარჩა 8 კაცი. მეორე დილას ეს 8 კაცი შეუდგა ფოფხვას ყინულებზე. მიუხედავად იმისა, რომ ყინულზე მიდიოდნენ, ყველას ძალზე დასცხა, რადგან მზე საკმაოდ აფრქვევდა თავის სხივებს. დღის 1 საათისათვის მიაღწიეს 4500 მეტრის სიმაღლეს.

აქ ექსპედიციის მონაწილეებმა ცოტა ხნით შეისვენეს, რის შემდეგაც გაიყვნენ ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით უნდა ასულიყო ყაზბეგის მწვერვალზე, ხოლო მეორე ჯგუფს, 3 კაცის შემადგენლობით, მიეცა დავალება— მიეღწია მეზობელი მთის მაილი ხოკის მწვერვალისათვის. ეს მთა დღემდე გამოუკვლეველია. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვეულებრივ ტურისტების ყურადღება მიპყრობილია ყაზბეგზე, მეორეც ის, რომ გზა მაილი ხოკამდე არაჩვეულებრივად ძნელია. აი ასეთი „ციხე-სიმაგრის" ასაღებად გაემზადნენ ეს 3 კაცი. მათ მიაღწიეს კიდევაც მიზანს და 3 საათსა და 30 წუთზე მიაღწიეს მწვერვალს (4.800 მეტრი). საუცხოვო სანახაობა იშლებოდა აქედან. შორით მოსჩანს დაღესტანი, ჩრდილოეთ კავკასია, კავკასიონის მთაგრეხილის მთელი დასავლეთი ნაწილი და თვით იალბუზიც; მაგრამ დიდხანს ვერ მოუხდათ ემზირათ ასეთი თვალწარმტაცი სილამაზისათვის. დაღესტანის მხრიდან წამოვიდა ხშირი ღრუბლები, დაიწყო თოვა და ასტყდა ქარბუქი.

მეორე ჯგუფი შეუდგა ყაზბეგ-ის მწვერვალზე ასვლას. გზაში მათ ჩამოსცილდა ერთი ამხანაგი, რადგან ხშირი ნისლი იდგა და გზა მართლაც სახიფათო იყო. მიუხედავად ამისა დანარჩენმა 4 კაცმა და გამყოლმა განაგრძეს გზა და საკმაო სიძნელეების გადალახვის შემდეგ მიაღწიეს მწვერვალს. იქიდან დაბრუნებისას ჯგუფი ასცდა გზას და კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ მიაღწია მეტპუნქტამდე, სადაც მათ აღმოუჩინეს პირველი დახმარება, რადგან ყაზბეგის ყინვამ გავლენა იქონია მათზე.

მეორე დღეს ექსპედიცია დაბრუნდა სოფ. ყაზბეგში, საიდანაც გაემგზავრა კავკავში, ხოლო იქიდან კი თბილისში.

ამ ექსპედიციამ გამოარკვია ჩვენი წითელარმიელების და უფშემადგენლობის ფიზიკური ძალა და გამბედაობა ყინვებში და სიძნელეებში. ამ ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ საჭიროების დროს წითელარმიელს შეუძლია არა მარტო სწორ გზაზე, არამედ უღრან კლდეებზე სიარულიც და თუ საჭირო იქნება ამ თავის ცოდნას გამოიყენებს ქვეყნის თავდაცვისათვის.

**ტურისტი.**



№ 1 ტყავის ქარხნის დასაუთოებელი საამქრო, რომელმაც დამკვრელ ტემპების შედეგად ეკონომია მიიღო

# ბრძოლის პოეტი

## სანდრო ეული—„ლექსები"

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესიული კლასი ყოველთვის იძლეოდა და იძლევა პროგრესიულად მოაზროვნე მწერლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მწერლობა ინქებოდა კუთხეში მიმდევარი და ცხოვრების უბრალო დამატება.

ბურჟუაზია, როდესაც პროგრესიულ-რევოლუციონურ კლასს წარმოადგენდა, მისი მწერლობაც საკუთარი კლასის პროგრესიული იდეების გამომხატველი იყო, მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ბურჟუაზია რეაქციონურ კლასად გადაიქცა და პროგრესიული ადგილი პროლეტარიატმა დაიკავა.

ამ მდგომარეობამ კი წარმოშვა ახალი ხელოვნება,—მწერლობა, რომელიც სამსახურს გაუწევდა პროლეტარიატის სოციალურ დაკვეთებს. ეს არის პროლეტარული მწერლობა. პროლეტარული მწერლობა შეუძლებელია მოექცეს კლასის მოწინავე პოზიციებზე თუ მან არ უპასუხა ყველა იმ მოთხოვნილებებზე, რომელსაც საკუთარი კლასი აყენებს.

პროლეტარული მწერალი ის მწერალია, რომელიც დატვირთულია პროლეტარული გრძნობებით, ანთია იმავე ცეცხლით, რომლითაც მისი კლასი, პროლეტარული თვალთახედვით უდგება საგნებს და აშუქებს ცხოვრებას, პროლეტარულად განიცდის მოვლენებს და საზოგადოების მხატვრულ სახეებს.

პროლეტარული მწერლობა, ეს იქნება პროზა თუ პოეზია,— ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს სოციალისტურ მშენებლობას, პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრებას და მხატვრულ სახეებში მოგვიხაზოს ის, რასაც ეს ყოფა-ცხოვრება, ამა თუ იმ მომენტში, წინაპლანზე აყენებს. ამრიგად ზოგიერთი ამხანაგების „რეცეპტები", რომ „პოეტს, რა მიმართულებისაც გინდა იყოს იგი, აქვს უფლება სწეროს, რაზედაც უნდა, თუგინდ დევზე ღმერთზე, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ სწერს (ტექნიკა) არ არის სწორი და შესაძლოა დღევანდელი დღისათვის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), უფრო მეტიც ის პირიქით, მავნებელიცაა, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვრული აზროვნება ავაცდინოთ სწორ და პირდაპირ ხაზს—ავაცდინოთ დღევანდელ ამოცანებს და სადღაც მითზე—ცაში მიუთითოთ, მაშინ, როცა მშენებლობის ენტუზიაზმით ანთებულ კლასთან ერთად პროლეტარულ მწერლობასაც ბევრი რამ აქვს ამ ქვეყნად—პრაქტიკულად გასაკეთებელი.

როდესაც სოციალისტური მშენებლობა მწერლობას კონკრეტულ ამოცანებს უყენებს, ლაპარაკი ყველაფერზე შეუძლებელია. რეკონსტრუქციის გაზრდილი ტემპები პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებით თემატიკასაც „საზღვრავს". სწორედ ამით არის გამოწვეული პროლეტარული მწერლობის **გადემიანების** ლოზუნგი. **დემიან ბედნი** უდიდესი პოეტია, რომელიც თავის შემოქმედებას მჭიდროთ უკავშირებს საკუთარი კლასის და სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებს.

ეხლა ჩვენ გვინდა პოეზია ბრძოლისა და შემოქმედების, მასების ენტუზიაზმის და აღმაფრენის, საზოგადოებრივ მოქმედებით გატაცების, პოეზია ახალი იდეების, აზრების და გრძნობების.

ლექსში—„მებრძოლთა ხმა"—რომელიც დაწერილია 1918 წ. მოცემულია მებრძოლთა ბოლშევიკური განწყობილებანი. ომი-ომს, მშვიდობით ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომად. იყო ბოლშევიკების ლოზუნგი, რომელსაც მენშევიკებმა ომის გამარჯვებამდე მოყვანის ლოზუნგი დაუპირდაპირეს და გამოამჟღავნეს თავიანთი ოპორტუნისტული და ბურჟუაზიული ბუნება. პოეტი სრულიად არ დაიბნა მომენტის გარკვევაში, იგი გადადგა ბოლშევიკების დროშის ქვეშ და ლოზუნგი ომი-ომს, მშვიდობით ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომად—მოგვცა მებრძოლთა სახეებში:

„ჩვენ ომის ცეცხლში დაგვეწვა ბინა
სასტიკმა ომმა მოგვიგლიჯა კერას.
ვეწირებოდით მბრძანებელთ ნებას
ემტრობდით ლატაკებს თვით ლატაკები.
მაშინ გვეძინა. ვიყავით ბრმები,
ძლივს გავიღვიძეთ და ვახილეთ თვალებს,
**ვადგენთ ტანჯულთა და ჩაგრულთ რაზმებს,**
რომ ქვეყნად შევქმნათ მეფობა ძმობის,
. . . . . . . . . . . . . . . ;
**ჩვენ ძველ ქვეყანას მივცემთ ცეცხლისა ალს".**

რამდენადაც, უფრო საფუძვლიანად ვეცნობით ს. ეულის მხატვრულ შემოქმედებას, იმდენად ღრმად სახლდება თავში ის აზრი, რომ ეული პროლეტარული გრძნობების, მტკიცე ნებისყოფის და ენტუზიაზმის დიდი პოეტია.

ვის არ ახსოვს და არ განუცდია დუშეთის ამბების შესახებ, როცა მშრომელი გლეხობა აუჯანყდა მენშევიკების საზიზღარ ბატონობას, რომელთაც აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს, დაიმონეს და ააწიოკეს ხალხი. ყველა ეს პოეტმა განიცადა, შეიგრძნო და მხატვრულ სახეებში მოგვცა. სულ სხვა როგორ მოეპყრობოდა ამას ობივატელი მწერალი, რომელიც სისხლისაგან შეშინებული წუწუნსა და პესიმისტურ გოდებას მოჰყვებოდა, მაგრამ, მებრძოლ პოეტს სულაც არ სჭირდება ასეთი გოდება, ის ყველაფერს პროლეტარული გრძნობებით უცქერის და ოპტიმისტურად სჯერის:

სისხლით გრწყავთ
დარიალო, —
მაგრამ ალი,
**ცეცხლის ალი,**
**შორით რომ სჩანს,**
ამ ძველ მხარეს,
**ამ ქვეყანას**
**მალე დასწვავს.**

ასეთი არის პროლეტარული რეალიზმის ლოგიკა,—ის წინ იხედება და ფაქტს დიალექტიკურ პროცესში ითვალისწინებს.

ეულს არ უყვარს მრავალსიტყვაობა, გაჭიანურება და ერთი აზრის მრავალ „სიმღერებში" მოცემა. კონკრეტობა მისი ლექსების ჩვეულებრივი ხერხია, სადაც შეიძლება ათი სიტყვა თქვას ის ერთს ამბობს და აზრს უფრო მეტად გასაგებს და შთამწვდომს ხდის. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი: „მოგონება". ამ პატარა ლექსში მოთხრობილია მეტად მნიშვნელოვანი ამბავი, მენშევიკების ბატონობის ისტორიიდან, რომელსაც პოეტი მოგვითხრობს მხატვრულ სახეებში, სიტყვის მეტის-მეტი ეკონომიით და უდიდესი დამაჯერებლობით.

პროლეტარული პოეზია პროლეტარიატის მხატვრული იდეოლოგიის ნაწილია, ვინც პროლეტარულად არ აზროვნებს მისთვის მიუწვდომელია ჩვენი ცხოვრება, გაუგებარია პროლეტარული პოეზიაც და საერთოდ პროლეტარული ხელოვნება. ამიტომ ის ვერ განიცდის ცხოვრების რეალურ მოვლენებს და რაც მთავარია ვერც მოგვცემს მას მხატვრულ სახეებში პროლეტარული გზებით და გრძნობით. სანდრო ეული პროლეტარული პოეტია და სწამს კიდეც პროლეტარიატის გამარჯვების. მას სწამს, რომ დღეს „გზა ჩვენი, გზა არჩეული, გაკვალული ვაჟკაცს და დაძლეული".

ლექსი—„დღევანდელი მამა", პროლეტარიატის დიქტატურის ფონზეა გაშლილი, აქ მოცემულია „თუ რა ახარებს, ან რა აწუხებს სოფლად შრომის შვილს". ამაშია პროლეტარული ხელოვნების—მწერლობის—პროზისა და პოეზიის აზრი.

ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ პოეტის დადებით მხარეზე, (რასაკვირველია, ყველაფერი მაინც არ გვითქვამს). მაგრამ აქვე რამოდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ ზოგიერთ ნაკლზე: ეულმა ჯერ კიდევ ვერ მოგვცა საწარმოო ფონზე გაშლილი მუშათა ენტუზიაზმი, დამკვრელობა, ტემპები, ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი პროცესები. საერთოდ ჩვენი მწერლობა და მათ შორის ეულიც ჩამორჩა გაზრდილ მოთხოვნილებებს, ეს ნაკლი კი ძირეულად უნდა დაიძლიოს. თუ ეულმა ვერ მოგვცა საწარმოო ცხოვრება, მუშათა ენტუზიაზმი და სხვა, ჩვენ ვფიქრობთ იმიტომ, რომ ნაკლებად იცნობს ჩვენი ცხოვრების ამ მხარეს ე. ი. სუსტად არის დაკავშირებული წარმოებასთან. რაც შეეხება მხატვრულ მხარეს, უნდა ითქვას, რომ ეულის შემოქმედებაში ვხვდებით მხატვრულად გამართულ სტროფებს:

მზეო, მზეო!
ხომ ნახეო,
ღამე როგორ ავახილეთ
. . . . . . . . . . . . . .
და სიბნელე დავამარცხეთ!
მზეო, მზეო,
შენ ხომ იცი
ძლივს რომ ხარობს შრომის ძეო!

ეს ტექნიკურად ჩამორჩენილ ხალხის მიერ შეთხზულ ლექსს უფრო ჰგავს, ვინემ ინდუსტრიალურ ეპოქის დიდ პოეტის. აქედან ჩვენ ერთი შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ: ხშირად პროლეტარული მწერლები ისე გატაცებით [illegible], რომ მათ იდეურ და ფორმალურ ტენდენციებში ეძლევიან (ეს შენიშვნა ეულს არ ეხება), მაგრამ, მაინც ეს საშიშროება არ სცდის პროლეტარული მწერლობის წინაშე. ზოგიერთი პროლეტარული მწერალი სწავლობს რა ხალხური სიტყვიერებისაგან, თავის ნაწარმოებებს სრულიად ბანალობამდე დაჰყავს. ინდუსტრიალური ეპოქა აყენებს არა მარტო თემატიკის, არამედ ფორმის,— მხატვრული მხარის გარდაქმნის აუცილებლობასაც.

სრულიად სამართლიანად ეულზე შეიძლება გამეორებული იქნეს ის სიტყვები, რომლითაც ერთ-ერთმა რუსმა კრიტიკოსმა დაახასიათა **ალ. ბეზიმენსკი, რომ „ის არის საუკეთესო ბოლშევიკი პოეტთა შორის და საუკეთესო პოეტი ბოლშევიკთა შორის".**

**ირ. ასტვაცატუროვი.**



რკინისგზელების შვილები — პიონერები უტილნედლეულის შეგროვებაზე.



ახალი ნავთის საწმენდი ქარხანა ბათომში



რკინის გზელების ახალი სახლი ჟორესის ქუჩაზე

# წ მ ე ნ დ ა

სცენა წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის კაბინეტს. ფარდის ახდისას სცენაზეა პავლე და საქმის კაცი.

**პავლე.**—მაშ ვერ მოვრიგდით?

**საქმის კაცი.**—როგორ მოვრიგდებით, პავლე ივანიჩ, როდესაც ფასს ერთ კაპიკსაც არ უმატებთ.

**პავლე.**—ნახევარი კაპიკის მომატებაც არ შეიძლება. მე უფლება არა მაქვს ვფლანგო ჩვენი სახელმწიფო ქონება.

**საქმის კაცი.**—რასა ბრძანებთ, ნუ თუ სახელმწიფო ქონების გაფლანგვაა ფუთაზე ორი შაურის მომატება.

**პავლე.**—დიახ, გაფლანგვაა, ძვირფასო, გაფლანგვაა. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის რეკონსტრუქტიული პერიოდი მოითხოვს სასტიკ მომჭირნეობას, რათა მით გაადვილდეს სოციალიზმის მწვერვალების მიღწევა... გნებავთ, დასთანხმდით ჩემს მიერ დასახელებულ ფასზე.

**საქმის კაცი.**—რა გაეწყობა, თანახმა ვარ. თუ ჩემი ორი შაურით სოციალიზმს რამე შეემატება.

**პავლე.**—შეემატება, სწორედ რომ შეემატება... რამდენი ფუთი გაქვთ ჩლიქები?

**საქმის კაცი.**—ას ოცი ფუთი.

**პავლე.**—კეთილი (ზარს რეკს. შემოდის ნაფუქოდონოსორ და გამოეჭიმება).

**ნაფუქოდ.**—რას მიბრძანებთ, ამხანაგო გამგევ?

**პავლე.**—ნაფუქოდონოსორ, დამიძახეთ ბუხჰალტერს.

**ნაფუქოდ.**—მესმის. (გადის).

**საქმის კაცი.**—ნაფუქოდონოსორ...

**პავლე.**—მაშ ასოცი ფუთი ჩლიქი... ხომ კარგი ღირსებისაა?

**საქმის კაცი.**—რა ბრძანებაა, პაველ ივანიჩ. (შემოდის ბიძინა)

**ბიძინა.**—მიბრძანეთ, პაველ ივანიჩ.

**პავლე.**—გადასწორეთ ანგარიში ძველ ფასებში და გაუკეთეთ განკარგულება ჩაიბარონ საწყობში ას ოცი ფუთი საქონლის ჩლიქი.

**ბიძინა.**—მესმის. (მოკრძალებით შემოდის ეკატერინე)

**ეკატერინე.**—ქაღალდებს არ განიხილავთ, პაველ ივანიჩ?

**პავლე.**—დამაცადეთ, ხომ ხედავთ კლიენტს ველაპარაკები.

**საქმის კაცი.**—მაშ ნახვამდის. ფულის ანგარიშს დღესვე გამისწორებთ?

**ბიძინა.**—როგორც მიბრძანებს.

**პავლე.**—ჩაბარებისთანავე, დღესვე გაუსწორეთ ანგარიში.

**ბიძინა.**—მესმის (საქმის კაცი და ბიძინა გადიან).

**ეკატერინე.**—მოსკოვიდან არის მოწერილობა...

**პავლე.**—კატენია ერთი მაკოცე...

**ეკატერინე.**—რა დროს კოცნაა. (კოცნის)

**პავლე.**—ერთი კიდევ. შენ შემოგევლე.

**ეკატერინე.**—რა გაუმაძღარი ხარ. (კოცნის).

**პავლე.**—ერთიც, ერთიც, თორემ...

**ეკატერინე.**—გეყოფა, მე ცელქო. (კოცნისას შემოესწრება ნაფუქოდონოსორი და თვალს უცებ არიდებს)

**პავლე.**—აი, ყური!..

**ეკატერინე.**—მამა, რას შვები...

**ნაფუქოდ.**—სირცხვილია ამ შუადღისას ხვევნა-კოცნა.

**პავლე.**—სიმამრო, ჩემს ცოლს ვკოცნი, სხვას ხომ არა.

**ნაფუქოდ.**—არ ვარგა მაინც. შვილებო... კაცი პასუხისმგებელი პირია, ხუმრობა საქმე ხომ არაა—ჩლიქების ტრესტის რწმუნებულია საქართველოში. შენ კი გამომცვლელი ამ შუადღისას, მიეგებები ტუჩებით და უწკრუწუნებ და უწრუწუნებ...

**პავლე.**—მართალი ხარ, სიმამრო, მართალი. ერთხელაც იქნება ვინმე წამოგვისწრებს და შეგვრცხვება.

**ნაფუქოდ.**—გაძეხი კოცნით და აწი რაღაა... ხომ კაცო, წადი ბიძინას დაუძახე. საქმე მაქვს მოსალაპარაკებელი თქვენთან.

**პავლე.**—ამ წუთში. (გადის).

**ეკატერინე.**—რა საქმეა, მამა?

**ნაფუქოდ.**—შენ არ გეკითხები, კაცები მოვლენ და ვეტყვი (შემოდიან პავლე და ბიძინა. ნაფუქოდონოსორი საწერ მაგიდას მიუჯდება) აბა, ჯერ მომისმინეთ რა გაკეთდა ჩვენი ოჯახის სასარგებლოდ.

**პავლე.**—მე ავანსად ავიღე სამასი მანეთი... ამდენივე მიეცი ბიძინას, კორონისაც ასი მანეთი. სიმამრო, შენ ხომ გეშინ გამოგიწერე ასი მანეთი, მე მგონია ამ კვირაში ეს კმარა.

**ნაფუქოდ.**—მართალია—კმარა. ძროხა ისეთ უნდა მოწველო, რომ მომავალშიც მოგცეს რძე.

**ბიძინა.**—მამა, ერთი ზორბა კომბინაცია გავაკეთე დღეს, რის საშუალებითაც წმინდა მოგება დაგვრჩება დაახლოებით ხუთასი მანეთი.

**ნაფუქოდ.**—როგორ?

**ბიძინა.**—ცოტაოდენი შესწორება შევიტანე საბუღალტრო წიგნებში. სულ ცოტაოდენი... ისეთი, რომ მიკროსკოპში ვერ შეამჩნევ. მოლარეც ხომ მე ვარ და...

**პავლე.**—მერე რევიზიის დროს რომ აღმოაჩინონ ეს შენი კომბინაცია.

**ბიძინა.**—თუ საგანგებოდ არ მოძებნეს ისე ვერ მიხვდებიან.

**ნაფუქოდ.**—შენ რაღა გააკეთე, შვილო?

**ეკატერინე.**—მე ვერაფერი... როგორც პროფწევრმომსახურებმა მოვახერხე სამი სულის ზედმეტი სასურსათო ბარათის აღება.

**ნაფუქოდ.**—ვერაფერი ნამუშევარია... მაინც არა უშავს რა... მაშ ასე... ახლა, შვილებო, მე მსურს ფრიად მომგებიან საქმეზე მოგელაპარაკოთ.

**პავლე.**—ყურს გიგდებთ.

**ნაფუქოდ.**—მოვახერხე ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ვაჭარი, რომელსაც აქვს ოცი ფუთი საქონლის ჩლიქი.

**ბიძინა.**—მერე არაფერია.

**ნაფუქოდ.**—დამაცადე, ნუ იცი სიტყვის წართმევა... ჰო, ამავ დროს ფრიად პატიოსანი კაცია... წინადადებას აძლევს ჩაიბაროთ მცირე ფასებში ხუთასი ფუთი ჩლიქი.

**პავლე.**—ხუთასი ფუთის? ოცი ფუთის მეტი რომ არა აქვს?

**ნაფუქოდ.**—საქმეც მაგაშია... ტომრებში მხოლოდ ზევიდან იქნება ჩლიქები, ქვეშ კი ჩაწყობილი იქნება ქვები.

**პავლე.**—მერე...

**ნაფუქოდ.**—მერე და მერე... ვერ გიგებ?... ეს ხუთასი ფუთი უნდა ჩაიბარო და გაუსწორო ანგარიში. ფული ნახევარი იმისაა და ნახევარს მე მომცემს.

**პავლე.**—კი, მაგრამ...

**ნაფუქოდ.**—კი, მაგრამ!... შენ კი რა გითხრა!.. განა ძნელია? საწყობში ხუთი ათასი ფუთი ჩლიქები გდია მიაყარე ზედ. ვინ რას გაიგებს... მხოლოდ მიმღებად ჩვენი კაცი საჭიროა... მე ბიძინას ვავალებ ამ საქმეს.

**პავლე.**—სიმამრო, მეტის მეტი არ მოგივიდეს... მართალია უკონტროლოდ ვართ, ჩვენი ცენტრი მოსკოვშია, მარა, ხომ იცი თვალი მაინც აქვთ. მსუბუქი კავალერია დაძვრება და თუ მიგვიხვდნენ ყოფას გვიტირებენ.

**ნაფუქოდ.**—დაიწყე კიდევ ძველებურად? რა კაცი ხარ, ერთი მითხარი, თუ ასეთი უბრალო საქმის გეშინიან!..

**ბიძინა.**—პავლუშა, შენ არხეინად იყავი, ვერავინ მიხვდება ამ საქმეს.

# ბორჯომის ხე-ტყის ქარხანა



ბურბუშლის დასამზადებელი მანქანა



დახერხილი ტკეჩის დაწყობა

# ფიზკულტურა და სპორტი

## ფეხბურთი

### ბაქოელ ფეხბურთელთა გუნდი თბილისში

24 ოქტომბერს, თბილისში ბაქოდან ჩამოვიდა ბაქოელი სპორტსმენების— „დინამო"-ს ფეხბურთელთა გუნდი.

ბაქოელ ამხანაგებს სადგურზე შეხვდენ თბილისის ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბილისელი მუშა-ფიზკულტურნიკები.

პირველი შეხვედრა შედგა 25 ოქტომბერს, „დინამო"-ს სტადიონზე. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „დინამო"-ს პირველი გუნდი. თბილისელები ადვილად გაუსწორდნენ სტუმრებს და შეჯიბრება მოიგეს 2:1.

ძნელი გასათვალისწინებელი იყო პირველი გუნდების შეჯიბრების შედეგი. გუნდები თითქმის თანაბარ ძალას წარმოადგენდნენ. თუმცა სტუმრებმა თავის საუკეთესო ძალები გამოიყვანეს, მაგრამ გუნდის უხლანდელი შემადგენლობა მაინც ჩამორჩება იმ შემადგენლობას, რომელიც მეორე და მესამე შეჯიბრებაში გამოიყვანეს. ამ შეჯიბრების დროს გუნდში არ თამაშობდნენ: თურქია, ვ. კელევეცი და სხვ., თბილისელები ზარმანდელთან შედარებით კი უფრო გაძლიერდნენ და გაუმჯობესდა მათი თამაშის ტექნიკაც. ყოველ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი იყო მეტად ცხარე და თავდაუზოგავი თამაში.

შეჯიბრობა იწყება მეტად სწრაფი ტემპით. თამაშის პირველ წუთებიდანვე სჩანს, რომ ინიციატივას ხელთ იგდებენ თბილისელები. და მართლაც მათ ისე ძლიერ შეუტიეს მოწინააღმდეგეს, რომ მთელი ნახევარი საათი ბურთი არ მოსცილებია სტუმრების კარებს.

მე-13 წუთზე, სტუმრების კარებთან შეიქმნა არეულ-დარევა.

დიაკოვი სარგებლობს მომენტით და თავის ლამაზი და მოხდენილი დარტყმით მარჯვედ გაარღვევს სტუმრების ჰიშკრის კუთხეს და მოაქცევს პირველ ბურთს სტუმრების ბადეში.

ტრიბუნებზე ხალხი ფეხზე დგება და მქუხარე ტაშით მიესალმება გამარჯვებულებს. თბილისელები აძლიერებენ ტემპს. მე-22 წუთზე, დიაკოვი მცველების ფრონტის გარღვევით და ძლიერი დარტყმით მოაქცევს სტუმრების ბადეში მეორე ბურთს. პირველ ტაიმის უკანასკნელ წუთებში სტუმრებმა მოიკრიბეს მთელი ძალღონე, რომ გოლებისათვის—გოლებით გადაეხადათ პასუხი. რამოდენიმე მძლავრი შეტევა და 37 წუთზე, ბაქოელ სარიკინს გააქვს პირველი ბურთი თბილისელების ბადეში. ამის შემდეგ ანგარიში აღარც თამაშის მეორე ნაწილში შეცვლილა და ამრიგად პირველი შეხვედრა დამთავრდა სტუმრების წაგებით 1:2.

მეორე შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართა 26 ოქტომბერს, სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა მილიციონერების პირველი გუნდი. თამაში იწყება მილიციონერების ძლიერი შეტევით და 35 წუთი ბურთი არ მოსცილებია სტუმრების ჰიშკარს. მე-5 წუთზე, სტუმრების კარებთან შეიქმნა არეულ-დარევა. გუნია სარგებლობს მომენტით და მეტის ძლიერი დარტყმით შეაქვს პირველი ბურთი სტუმრების ბადეში. უკანასკნელ წუთებში სტუმრებმა მოიკრიბეს ძალღონე და თამაშიც გადავიდა მილიციონერების ბადესთან. მაგრამ [illegible] ცომაია მტკიცე დარაჯად ედგა თბილისის კარებს და არც ერთი ბურთი არ შეუშვა ბადეში (თუმცა სტუმრებმა ამ შეჯიბრებაში 3 ძლიერი მოთამაშე გამოიყვანეს). პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 მილიციონერების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმიც მეტად დაძაბულ მდგომარეობაში მიმდინარეობს. მოთამაშეები არ ზოგავენ ენერგიას გოლისათვის. ხშირია კრიტიკული მომენტები ორივე გუნდების კარებთან, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებს ბურთის გატანას და თამაში თავდება მილიციონერების გამარჯვებით, 1:0-ზე.

მესამე შეხვედრაში, რომელიც შედგა 28 ოქტომბერს, სტუმრებთან თამაშობდა „დინამო"-ს პირველი გუნდი (დინამოს ჰყავს ორი გუნდი).

თამაში იწყება თბილისელების შეტევით. მე-6 წუთზე თბილისელ სომოვს გააქვს პირველი ბურთი სტუმრების ჰიშკარში. სტუმრებმა თავისი საუკეთესო მოთამაშენი გამოიყვანეს (გუნდში თამაშობდა კელევეცი, თურქია და სხვ.). თბილისელები უფრო აძლიერებენ შეტევას. მე-17 წუთზე, თბილისელები მეორე გოლით უპასუხებენ სტუმრებს. თამაში ცხოველ ხასიათს ღებულობს. ბაქოელები ენერგიულად იბრძვიან ანგარიშის გასწორებისათვის. და ჩქარა ბაქოელ მარჯვენა გარე მარშს გააქვს პირველი ბურთი თბილისელების ბადეში. ამის შემდეგ თამაში არანორმალურ სახეს ღებულობს. მსაჯი ამის დანახვით აძლევს სიგნალს. სტუმრებმა იწყინეს მსაჯის კანონიერი მოქცევა და ვადის თურქია და ერთი დამცველი სტოვებს თამაშს. ბაქოელი სტუმრები სტადიონზე სხდებიან. მსაჯი აქ იჩენს სისუსტეს და თანხმდება მათ ნებას. ბაქოელები კვლავ აგრძელებენ თამაშს. თამაშის უკანასკნელ წუთებში სალონინს ხელიდან უვარდება ბურთი მიწაზე. ამით სარგებლობს თურქია და მეორე ბურთი შეაქვს თბილისელების ბადეში. ამის შემდეგ თამაში აღარ შეცვლილა და თამაში დამთავრდა 2:2.

ბაქოელმა „დინამო"-ს გუნდმა საერთო ანგარიშით წააგო 3:5-ზე.

სტუმრების გუნდის კოლექტივში შედიოდნენ: იკონიკო, კონოტკოვი, რეიხი, ბლიევინი, შაბაევი, მეჩკელი, ეფოვი, თურქია, ნიბუზინი, სარიკინი, გლუხოვი, თურქია ვ., კელევეცი, კალინინი, ხანადიროვი, ეგოვი.

თბ. „დინამო"-ში შედიოდნენ: სალონინი, ფოჩხუა, გორიანოვი, ანიკინი, ეორდანია, [illegible], კოსტომოვი, სომოვი, დიაკოვი, ბერძენიშვილი და გარსევანიძე.

მილიციონერების გუნდში თამაშობდნენ: ცომაია, ნიკოლაიშვილი, ანთაძე, გონელი, სუმბულოვი, გაბაშვილი, გუნია, მესხი, იაშმანოვი, კლოცე და მანაგელი.

სტუმრების მხრით აღსანიშნავი იყო მეკარის, დამცველების და მარჯვენა გარე მარშის და იზაიტის თამაში.

თბილისის მხრით კარგად თამაშობდნენ: დინამოელები: ან. ეორდანია, ფოჩხუა, დიაკოვი, ანაშიძე და ანიკინი. მილიციონერების მხრით აღსანიშნავი იყო მარცხენა გარე მარბ გუნიას თამაში, რომელიც მაყურებლები აღფრთოვანებაში მოჰყავდა, აგრეთვე კარგად თამაშობდნენ დამცველები ანთაძე, ნიკოლაიშვილი, სუმბულოვი, გონელი და ეგართოვი.

ი. ბ.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში. დამკვრელი მუშები, რომელთაც ნორმაზე ზევით გამოუშვეს რბილი ვაგონი.



თბილისის დეპოში მუშებისაგან შესდგა ახალი დამკვრელი ბრიგადა „ხუთწლედის მესამე წლის სახელწოდებით



თბილისის პიონერები ძველმანებს აგროვებენ.



ძველმანების გადაგზავნა სახალხო ვაჭრობის კომისარიატიდან ქარხნებში



ჭიათურა. ახალი საბაგირო გზა, საიდანაც ქარხანაში აწვდიან შავ ქვას



ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხანა



შირაქის ნავთის ბურღებზე მომუშავე

## კომუნის ენტუზიასტი გლეხები



მარცხნიდან მარჯვნივ: კომუნის გამგეობის წევრი ამხ. ვანო ხიდეშელი; გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბესო ხიდეშელი; კომუნის აქტიური წევრი ამხ. ან. ხიდეშელი და ლავრენტი ხიდეშელი.

(იხილე დღევანდელ ჟურნალში: „მთების კალთებზე არის სოფელი").



კასპის ცემენტის ქარხნის საუკეთესო და დაუღალ-დოვებული დამკვრელი მუშა საპრონეკო.



ლენინის სახელობის ტყავის ქარხანაში დამკვრელები სამუშაოზე.

შეკვ. № 2256 საგაზეთო გამომც. სტამბა „კოლექტივი" ტირ. 6500